FRIEDRICH EBERT STIFTUNG
თბილისი

საპენსიო სისტემის რეფორმის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

დეკემბერი 2017

- არსებული საპენსიო სისტემის მიმართ საკუთარ ინფორმირებულობას რესპონდენტები საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ: ინფორმირებულად თავს მიიჩნევს მხოლოდ 14%-მდე. პრაქტიკულად ყოველი მეორე გამოკითხული თავს ძალზე ან უფრო არაინფორმირებულად მიიჩნევს.

- რესპონდენტთა ნახევარზე მეტს არ აქვს ინფორმაცია საპენსიო სისტემის რეფორმის ალტერნატიული პროექტების შესახებ, რომლებიც შეიმუშავა ეკონომიკის სამინისტრომ და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ. მეტ-ნაკლებად ინფორმირებულად თავს მიიჩნევს საშუალოდ13%, ხოლო მცირედ ინფორმირებულად - დაახლოებით 30%. რესპონდენტთა უმრავლესობა (54.2%) თვლის, რომ დღესდღეობით არსებული საპენსიო სისტემა ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი (41.1%) საპენსიო სისტემის „გარკვეულ ცვლილებებს“ უჭერს მხარს.

- იმ გამოკითხულთა უმრავლესობა, ვინც კატეგორიულად არ ეწინააღმდეგება დაგროვებითი საპენსიო ფონდის არსებობას (ასეთია 88%), პოზიტიურადაა განწყობილი იმის მიმართ, რომ დაგროვებითი საპენსიო ფონდის შენატანი იყოს მოქალაქეთა ხელფასის 2%-ის ოდენობის თანხა: ამ იდეას ეთანხმება დაახლოებით 70%.

სარჩევი

კვლევის მეთოდოლოგია **3**

ძირითადი მიგნებები **6**

A. მოსახლეობის ინფორმირებულობა და დამოკიდებულება არსებული საბაზისო საპენსიო სისტემის მიმართ **9**

A1. ინფორმირებულობა პენსიის ოდენობების და საპენსიო ასაკების შესახებ; საპენსიო სისტემის ინფორმირებულობის თვითშეფასება. 9

A2. დამოკიდებულება მოქმედი საპენსიო სისტემის მიმართ 10

B. საპენსიო სისტემის რეფორმა **12**

B1. საპენსიო სისტემის რეფორმის პროექტების შესახებ ინფორმირებულობა. 12

B2. არსებული საპენსიო სისტემის ცვლილება 13

B3. დაგროვებითი საპენსიო ფონდის მიმართ დამოკიდებულება 14

B4. სოლიდარობის ფონდის მიმართ დამოკიდებულება 18

B5. საპენსიო უზრუნველყოფის ალტერნატიული მექანიზმების მიმართ დამოკიდებულება 19

B5.1. საპენსიო ფონდის მართვა 19

B5.2. სოლიდარული საპენსიო ფონდი 21

B5.3. დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა და დაგროვილი პენსიით სარგებლობა 23

B5.4. დაგროვილი თანხის (პენსიის) გადაცემა. 24

B5.5. საპენსიო ფონდის შევსება 25

B6. საპენსიო ფონდის პირობებში საპენსიო ასაკის ცვლილება 27

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი იყო ახალი საპენსიო რეფორმის პროექტების მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა; იმის დადგენა, თუ რამდენად პასუხობს ახალი საპენსიო სისტემა მოქალაქეების სოციალურ -პოლიტიკურ, ღირებულებით და სახელმწიფოებრივ პოზიციას.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომლის ამოცანებია:

- ახალი საპენსიო სისტემის ძირითადი პარა-მეტრების მიმართ (დაგროვებითი საპენსიო სქემის შემოღება, მასში მონაწილეობა, მისი მართვა, დაგროვილი პენსიით სარგებლობა, სოიდარობის ფონდის ინიცირება და ა.შ.) საქართველოს მოსახლეობის დამოკი-დებულებების შესწავლა.
- საპენსიო სისტემის რეფორმის პროექტის შეფასება სხვადასხვა სოციალურ–დემგრაფიული მახასიათებლების მიხედვით (ასაკი, შემოსავალი, დასაქმების სტატუსი) გამოყოფილ ჯგუფებში.

კვლევის ობიექტი და შერჩევა.

კვლევის ობიექტს შეადგენს საქართველოს (თბილისი და ყველა რეგიონი) მოსახლეობა, რომელთა ასაკი 18 წელი და მეტია.

შერჩევის ჩარჩოდ გამოვიყენეთ საარჩევნო სიები (ამომრჩეველთა რაოდენობა) და სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები (დემოგრაფიული მონაცემები).

შერჩევის საბოლოო მოცულობა განისაზღვრა 1000 რესპონდენტით. შერჩევის ეს მოცულობა საკმარისია იმისთვის, რომ მივიღოთ რეპრეზენტატული მონაცემები შემდეგი მიზნობრივი ჯგუფების მასშტაბით:

- საქართველოს მოსახლეობა
- ასაკობრივი ჯგუფები (18–34 წწ.; 35–54წწ.; 55 და მეტი წლის)
- დასაქმებულის სტატუსით გამოყოფილი ქვეჯგუფები
- შემოსავლის სტატუსით გამოყოფილი ქვეჯგუფები

გამოვიყენეთ სამსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა:

- პირველ საფეხურზე მოხდა საარჩევნო ოლქების შერჩევა. თბილისის შემთხვევაში პირველი საფეხური მოიცავდა ყველა საარჩევნო ოლქს, ხოლო რეგიონებში შერჩევა განხორციელდა შემთხვევითი შერჩევის გზით (იხ. ცხრილი N1, ცხრილი N2);
- მეორე საფეხურზე შეირჩა საარჩევნო უბნები, შემთხვევითი შერჩევის გზით;
- მესამე საფეხურზე ოჯახებში შეირჩა რესპონდენტები შემთხვევითი შერჩევის გზით (კერძოდ, კიშის ცხრილს გამოყენებით).

გასათვალისწინებელია ერთი დეტალი: შერჩევაში მოხვდნენ ის რესპონდენტებიც, რომლებმაც განაცხადეს, რომ არაინფორმირებულები არიან საპენსიო სისტემის რეფორმის პროექტების შესახებ. ასეთ რესპონდენტებთან ინტერვიუ გაგრძელდა: ინტერვიუერი, რესპონდენტისთვის გასაგები ენით, უხსნიდა მას თთოეული ცვლილების არსს და რესპონდენტიც ad hoc რეჟიმში აყალიბებდა თავის პოზიციას.

შერჩევითი ერთობლიობის განაწილება თბილისისა და რეგიონების მიხედვით, ასევე ცალკეული სოციალურ–დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, მოცემულია ცხრილებში ##1, 2.

ცხრილი 1

	ინტერვიუ	ცდომილება 95% საიმედობით
გეოგრაფიული დაყოფა		
თბილისი	500	**4.4%**
რეგიონები	500	**4.4%**
დასაქმების სტატუსი		
დასაქმებული საჯარო/კერძო სექტორში	276	
თვითდასაქმებული (სასოფლო მეურნეობა, ინდმეწარმე)	70	
არაფორმალურ სექტორში დასაქმებული	29	
უმუშევარი	188	
ადამიანები სამუშაო ძალის გარეთ	437	
ასაკი		
18-24 წლის	125	
25-34 წლის	189	
35–44 წლის	169	
45–54 წლის	179	
55–64 წლის	156	
65 წლის და მეტი	181	
ეკონომიკური სტატუსი (თვეში პირადი შემოსავლების მიხედვით)		
ღარიბი/საარსებო მინიმუმს მიღმა მყოფი (180 ლარამდე თვეში)	125	
საშუალო (180 – 950 ლარის ფარგლებში თვეში)	189	
საშუალოზე მაღალი (950 ლარზე მეტი თვეში)	169	
უარი პასუხზე	31	
არ მაქვს შემოსავალი	9	
მიჭირს პ/გ/უარი პასუხზე	127	
სულ	**1000**	**3.1%**

ცხრილი 2

რეგიონები	პროპორციული განაწილება	შესრულებული	შერჩევის წერტილების რაოდენობა
აჭარა/გურია	82	61	6
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	121	21	2
კახეთი	63	100	10
სამეგრელო/ზემო სვანეთი	71	64	6
სამცხე-ჯავახეთი	31	18	2
ქვემო ქართლი	75	20	2
შიდა ქართლი/მცხეთა-მთიანეთი	58	72	7
აჭარა/გურია	82	30	3
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	121	75	8
კახეთი	63	40	4
სულ რეგიონები	500	500	50

კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ სტრუქტურირებული კითხვარი, რომელიც ძირითადად დახურულ და ნახევრად დახურულ შეკითხვებს მოიცავდა.

კითხვარმა დაფარა შემდეგი საკითხები/თემები:

- ინფორმირებულობა პენსიის ოდენობების და საპენსიო ასაკების შესახებ;
- საპენსიო სისტემის ინფორმირებულობის თვითშეფასება;
- დამოკიდებულება მოქმედი საპენსიო სისტემის მიმართ;
- საპენსიო სისტემის რეფორმის პროექტების შესახებ ინფორმირებულობა;
- არსებული საპენსიო სისტემის ცვლილება;
- დაგროვებითი საპენსიო ფონდის მიმართ დამოკიდებულება;
- სოლიდარობის ფონდის მიმართ დამოკიდებულება;
- საპენსიო უზრუნველყოფის ალტერნატიული მექანიზმების მიმართ დამოკიდებულება;
- საპენსიო ფონდის პირობებში საპენსიო ასაკის ცვლილება;

და ა.შ.

კვლევის ინსტრუმენტის შემუშავების შემდგომ მოხდა მისი პილოტირება. პილოტირების შედეგების საფუძველზეც ჩასწორდა კითხვარში არსებული ლაფსუსები.

კითხვარის საბოლოო ვერსია ჩაიტვირთა პლანშეტურ კომპიუტერებში (ODK პროგრამის ბაზაზე).

საველე სამუშაოები

საველე სამუშაოების მოსამზადებელ ეტაპზე მოხდა შერჩევის დაზუსტება (შერჩევის წერტილების ზუსტი განსაზღვრა). ასევე, შეირჩნენ ინტერვიუერები და სუპერვაიზორები, რომლებმაც მეთვალყურეობა გაუწიეს საველე სამუშაოების მიმდინარეობას. საველე სამუშაოების მოსამზადებელ ეტაპზე, IS-SA-ს ანალიტიკურმა ჯგუფმა და ველის კოორდინატორმა ჩაატარეს სამუშაო შეხვედრა ინტერვიუერებთან და სუპერვაიზორებთან, სადაც მოხდა კვლევის მიზნების, შერჩევის, კითხვარის შინაარსისა და მისი სპეციფიკის დეტალური განხილვა. ასევე, ველის კოორდინატორმა დეტალურად გააცნო ინტერვიუერებს და სუპერვაიზერებს მათი მოვალეობები.

მონაცემთა შეგროვება მოხდა პირისპირ ინტერვიუს მეთოდით, პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით. ინტერვიუები ჩატარდა რესპონდენტთა საცხოვრებელ ბინებში/სახლებში. საველე სამუშაოები გრძელდებოდა 2 კვირის განმავლობაში. საველე სამუშაოების პარალელურად ჩატარდა ველის კონტროლი. საველე კონტროლს დაექვემდებარა ინტერვიუთა საერთო რაოდენობის 10%.

მონაცემთა დამუშავება და ანალიზი

მონაცემების დამუშავება მოხდა სოციალურ მეცნიერებათა სტატისტიკური პროგრამის (SPSS) ბაზაზე. თავდაპირველად განხორციელდა მონაცემების გაწმენდა და შეწონვა, შემდეგ მონაცემთა დამუშავება განხორციელდა ისეთი უნივარიაციული და ბივარიაციაული მეთოდების გამოყენებით, როგორებიცაა ერთგანზომილებიანი სიხშირული განაწილება, ცენტრალური ტენდენციების საზომები, კორელაციური ანალიზი, წერტილთა გაბნევის დიაგრამა და სხვა.

მონაცემების გაანალიზების შედეგად მომზადდა საბოლოო ანალიტიკური ანგარიში.

ძირითადი მიგნებები

მოსახლეობის ინფორმირებულობა და დამოკიდებულება არსებული საბაზისო საპენსიო სისტემის მიმართ

ზოგადად, არსებული საპენსიო სისტემის მიმართ საკუთარ ინფორმირებულობას რესპონდენტები საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ: ინფორმირებულად თავს მიიჩნევს მხოლოდ 14%-მდე. პრაქტიკულად ყოველი მეორე გამოკითხული თავს ძალზე ან უფრო არაინფორმირებულად მიიჩნევს.

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (86%-მდე) თვლის, რომ საქართველოში დღესდღეობით არსებული საბაზო პენსიის ოდენობა (180 ლარი თვეში) საერთოდ არ არის საკმარისი პენსიონერის მინიმალური საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. პრაქტიკულად იდენტურია რესპონდენტთა დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად საკმარისია არსებული პენსიების ოდენობა სხვადასხვა კატეგორიის შშმ პირებისთვის.

რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (75%-მდე) არ ეთანხმება საპენსიო ასაკის დღეისათვის დადგენილ ზღვრებს: ქალებისთვის სასურველ ასაკობრივ ზღვრად რესპონდენტთა 70%-მდე ასახელებს 55 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის სასურველ ასაკობრივ ზღვრად 72.2% 60 წელს მიიჩნევს.

რესპონდენტთა გამოკვეთილი (67%-მდე) უარყოფითად პასუხობს შეკითხვაზე: უნდა იყოს თუ არა საბაზისო პენსიის თანხის ოდენობა საერთო ყველა მოქალაქისთვის?

რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (72.3%) ეთანხმება იმას, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულები, მუშაობის პარალელურად, იღებდნენ საბაზისო პენსიასაც.

გამოკითხულთა უმრავლესობას მნიშვნელოვნად მიაჩნია ის, რომ: ა) საბაზისო პენსია იცვლებოდეს ინფლაციის (რომელიც ბოლო წლებში 2-4%-ია) პროპორციულად და ბ) საბაზისო პენსია იცვლებოდეს საშუალო

ხელფასის ზრდის (რომელიც ბოლო წლებში (6-10%-ია) პროპორციულად.

საპენსიო სისტემის რეფორმა

რესპონდენტთა ნახევარზე მეტს არ აქვს ინფორმაცია საპენსიო სისტემის რეფორმის ალტერნატიული პროექტების შესახებ, რომლებიც შეიმუშავა ეკონომიკის სამინისტრომ და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ. მეტ-ნაკლებად ინფორმირებულად თავს მიიჩნევს საშუალოდ 13%, ხოლო მცირედ ინფორმირებულად - დაახლოებით 30%.

რესპონდენტთა უმრავლესობა (54.2%) თვლის, რომ დღესდღეობით არსებული საპენსიო სისტემა ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი (41.1%) საპენსიო სისტემის „გარკვეულ ცვლილებებს" უჭერს მხარს.

საპენსიო სისტემის ცვლილების აუცილებლობის მიზეზებად დასახელდა:

- არსებული საპენსიო სისტემა მოქალაქეთა მინიმალურ საარსებო მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს (31%–მდე
- თითქმის თანაბარი წილით (დაახლოებით 20%) დასახელდა:
    a. საჭიროა შეიცვალოს საპენსიო თანხის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
    b. საჭიროა შეიცვალოს საპენსიო ასაკის განსაზღვრის პრინციპი;
    c. საპენსიო თანხა არ არის სწორად გადანაწილებული პენსიის მიმღებ კატეგორიებზე.

რესპონდენტებმა, მთლიანობაში, დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს ძირითადი რეფორმისტული იდეის მიმართ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ საბაზისოპენსიასთანერთად,უნდაარსებობდეს დაგროვებითი საპენსიო ფონდი, რომელიც მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას, დააგროვონ თანხა საკუთარი თავის პენსიით უზრუნველყოფისთვის (სრულიად ეთანხმება 38.4%, უფრო ეთანხმება თითქმის მეოთხედი (23.7%); ეწინააღმდეგება გამოკითხულთა მეხუთედი (მათგან კატეგორიულად - 12.1%).

რაც უფრო იზრდება რესპონდენტთა ასაკი, მით უფრო კლებულობს დაგროვებითი საპენსიო ფონდის მიმართ მხარდაჭერა. აგრეთვე, საჯარო ან კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანები და უმუშევრები ყველაზე მეტად, ხოლო სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ადამიანები - ყველაზე ნაკლებად უჭერენ მხარს დაგროვებითი საპენსიო ფონდის არსებობას.

იმ გამოკითხულთა უმრავლესობა, ვინც კატეგორიულად არ ეწინააღმდეგება დაგროვებითი საპენსიო ფონდის არსებობას (ასეთია 88%), პოზიტიურადაა განწყობილი იმის მიმართ, რომ დაგროვებითი საპენსიო ფონდის შენატანი იყოს მოქალაქეთა ხელფასის 2%-ის ოდენობის თანხა: ამ იდეას ეთანხმება დაახლოებით 70%.

65 წლის და უფროსი ადამიანები შედარებით ნაკლები ენთუზიაზმით იღებენ დაგროვებითი საპენსიო ფონდის შენატანების განსზღვრის აღნიშნულ პრინციპს, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით.

იმ გამოკითხულთა უმრავლესობა (64.4%), ვინც კატეგორიულად არ ეწინააღმდეგება დაგროვებითი საპენსიო ფონდის არსებობას (ასეთია 88%), ემხრობა იმას, რომ დაგროვებითი პენსიის სქემაში მონაწილეობა იყოს ნებაყოფლობითი და ადამიანებს ჰქონდეთ არჩევანი, თავად იზრუნონ თუ არა დამატებით საპენსიო უზრუნველყოფაზე; დაახლოებით მეოთხედი დაგროვებითი პენსიის სქემაში სავალდებულო მონაწილეობაზე საუბრობს. კომპრომისულ ვარიანტს, რომელიც გულისხმობს იმას, რომ დაგროვებითი პენსიის სქემაში მონაწილეობა 40 წლამდე უნდა იყოს სავალდებულო, ხოლო 40 წლის ზემოთ - ნებაყოფლობითი - გამოკითხულთა მცირე ნაწილი (9.2%) უჭერს მხარს.

გამოკვეთილი უმრავლესობის (71.1%) აზრით, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებს (ანუ, მათ, ვისაც აქვს შემოსავალი, თუმცა არ იხდის გადასახადებს), უნდა მიეცეთ დაგრვებითი პენსიის სქემაში მონაწილეობის უფლება.

რესპონდენტების მოტივაცია, პირადად გაიღონ შენატანი დაგროვებით საპენსიო ფონდში, მაღალია. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა იმას, რესპონდენტი დასაქმებულია თუ დაუსაქმებელი. ორივე კატეგორიის რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი (40–45%–ის ფარგლებში) აცხადებს, რომ „აუცილებლად გაიღებდა“ თანხას საკუთარი ხელფასიდან, ხოლო დამატებით საშუალოდ 30%–ის მოტივაციაც დადებითია („უფრო გავიღებდი, ვიდრე არა“). ამ თვალსაზრისით უარყოფითად განწყობილ რესპონდენტთა რაოდენობა 20–25%–ის ფარგლებში მერყეობს.

65 წლის და მეტი ასაკის რესპონდენტებში დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის მოტივაცია გაცილებით დაბალია, 35 წლამდე რესპონდენტებთან შედარებით.

დაგროვებით საპენსიო სქემაში არმონაწილეობის/დაბალი მოტივაციის ძირითად მიზეზად რესპონდენტებმა დაასახელეს ის, რომ არ აქვთ იმედი, რომ ეს შენატანი მოქალაქეების პენსიაზე დაიხარჯება. სხვა მიზეზებია: ა) პენსიით უზრუნველყოფა მხოლოდ სახელმწიფომ უნდა იკისროს, მოქალაქის მონაწილეობის გარეშე და ბ) უპირატესობა ენიჭება დანაზოგის პირადად დაგროვებას.

რესპონდენტები პოზიტიურად არიან განწყობილები ე.წ. „სოლიდარობის ფონდის“ დაარსების მიმართ, რომელიც მოემსახურება დროებით (6 თვით) შრომისუუნაროების, დროებით (6 თვით) უმუშევრების ან დეკრეტულ შვებულებაში მყოფების დამატებით საპენსიო უზრუნველყოფას: დაახლოებით 38% სრულიად ეთანხმება ამ ფონდის შექმნას, ხოლო დამატებით 28%–მდე აცხადებს, რომ „უფრო ეთანხმება, ვიდრე არა“.

საპენსიო უზრუნველყოფის ალტერნატიული მექანიზმებიდან რესპონდენტები მხარს უჭერენ შემდეგ პრინციპებს:

- საპენსიო მართვის საკითხთან დაკავშირებით პოზიციები გაყოფილია: ა) ერთი შედარებით უფრო დიდი ნაწილი (43%-მდე) ეთანხმება იმას, რომ საპენსიო ფონდი იმართებოდეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, თუმცა საერთაშორისო ექსპერტების მეთვალყურეობის ქვეშ; ბ) მეორე ნაწილი(39%-მდე) კი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საპენსიო ფონდის მართვის მეთვალყურეობას ახდენდნენ დამსაქმებლები დაპროფკავშირების წარმომადგენლები.

- რესპონდენტთა უმრავლესობა (58%–მდე) მომხრეა, რომ განსაზღვრული კატეგორიის ადამიანებს – დროებით შრომისუუნაროებს, დროებით უმუშევრებს ან დეკრეტულ შვებულებაში მყოფებს – დაუსაქმებლობის პერიოდში არ შეუჩერდეთ შენატანები საპენსიო ფონდში და საპენსიო ასაკის მიღწევისას მიიღონ როგორც ბიუჯეტიდან დაფინანსებული საბაზისო პენსია, ისე სრული დაგროვებითი პენსია.

- გამოკითხულთა 80%–მდე ემხრობა, რომ იმ მოქალაქეებმა, ვინც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე მეტხანს იცხოვრებს და ამოეწურება საკუთარი შენატანებით დაგროვილი პენსია, საერთო საპენსიო ფონდიდან დაგროვებითი პენსიის იმავე რაოდენობა მიიღონ სიცოცხლის ბოლომდე.

- გამოკვეთილი უმრავლესობა (72%-მდე) მიიჩნევს, რომ დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა შეუზღუდავი უნდა იყოს და ამის უფლება მიეცეს ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად ასაკისა.

- რესპონდენტების აზრი გაიყო იმასთან დაკავშირებით, უნდა შეეძლოს თუ არა მოქალაქეს, რომ საპენსიო ასაკის შესრულებამდე ისარგებლოს დაგროვილი პენსიით: ერთი, შედარებით უფრო დიდი ნაწილი (52%-მდე) თვლის, რომ მოქალაქეს უნდა შეეძლოს, თავისი ნებით, საპენსიო ასაკამდე 5 წლით ადრე პენსიის მიღება დაგროვებითი პენსიის სქემიდან; მეორე ნაწილის (40.1%) აზრით კი, მოქალაქეს მხოლოდ მაშინ უნდა შეეძლოს დაგროვებითი პენსიის ვადაზე ადრე მიღება, თუ ის დაკარგავს შრომისუნარიანობას.

- ყოველი მეორე რესპონდენტი (51.5%) ემხრობა იმას, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ნებაყოფლობით შეაქვთ დამატებითი თანხა საპენსიო ფონდში (ხელფასის სავალდებულო 2%-ის გარდა), უნდა შეეძლოთ მათ მიერ დაგროვილი თანხის გამოტანა ნებისმიერ დროს, ნებისმიერი რაოდენობით, თანხის ამოწურვამდე. მეორე მხრიც, რესპონდენტთა თითქმის მესამედი იზიარებს იმას, რომ მხოლოდ იმ მოქალაქეებს უნდა მიეცეთ დამატებითი თანხის გამოტანის უფლება. ვინც მუდმივად ქვეყნის დატოვებას გადაწყვეტს.

- დიდი უმრავლესობა (80%-მდე) მომხრეა იმის, რომ დაგროვილი თანხის ამოწურვამდე პირის გარდაცვალების შემთხვევაში, საპენსიო ფონდში დაგროვილი თანხა სრულად უნდა გადაეცეს პირის მემკვიდრეს/მემკვიდრეებს.

- გამოკითხულთა უმრავლესობა (58%-მდე) ემხრობა იმას. რომ ახალი საპენსიო სისტემის ამოქმედებიდანვე დაიწყოს საპენსიო ფონდში თანხების შეტანა სამივე დაინტერესებულმა მხარემ: დასაქმებულმა, სახელმწიფომ და დამსაქმებელმა.

რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (72.1%) კატეგორიულად არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ მიზანშეწონილია საპენსიო ასაკის გაზრდა, რაც სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობას, რომ დაზოგილი საბიუჯეტო, ისევე როგორც მოქალაქეთა მიერ დაგროვილი თანხები მოხმარდეს ეკონომიკის ზრდას.

მეორე მხრივ, გამოკვეთილი უმრავლესობა (73.3%) ეთანხმება მოსაზრებას, რომ პენსიაზე ვადაზე 5 წლით ადრე გასვლის უფლება მიეცეთ მძიმე და საშიშპირობებიან პროფესიებზე დასაქმებულებს, იმ დათქმით, რომ ასეთ პირები უზრუნველყოფილნი იქნებიან როგორც დაგროვებული, ისე საბაზისო პენსიით.

A. მოსახლეობის ინფორმირებულობა და დამოკიდებულება არსებული საბაზისო საპენსიო სისტემის მიმართ

A1. ინფორმირებულობა პენსიის ოდენობების და საპენსიო ასაკების შესახებ; საპენსიო სისტემის ინფორმირებულობის თვითშეფასება.

რესპონდენტთა დიდმა უმრავლესობამ (82%-მდე) იცის საბაზისო პენსიის ოდენობის შესახებ, რომელიც თვეში 180 ლარია. 7.5% აცხადებს, რომ არ იცის, ხოლო დაახლოებით 11% არასწორ რიცხვს ასახელებს (ძირითადად 150, ან 160 ლარს). რაც შეეხება საპენსიო ასაკს, გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა (90-91%) სწორად განსაზღვრავს როგორც მამაკაცების (65 წლი), ისე ქალების (60 წელი) საპენსიო ასაკს. იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვისაც უჭირს საპენსიო ასაკის განსაზღვრა ორივე სქესისთვის 5-7%-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო 3-დან 5%-მდეა ისინი, ვინც არასწორ ასაკს ასახელებს.

რესპონდენტთა ინფორმირებულობა დიამეტრალურად იცვლება მაშინ, როდესაც მათ დაესმის შეკითხვა პირველი და მეორე კატეგორიის შშმ პირთა პენსიის ოდენობების შესახებ: გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა ვერ ასახელებს ვერც ერთს (72.1%) და ვერც მეორეს (70.1%). პირველი კატეგორიის შშმ პირთა პენსიის შესახებ სწორი პასუხი აღმოაჩნდა თითქმის 18%-ს, ხოლო მეორე კატეგორიის შშმ პირთა პენსიის შესახებ - თითქმის 26%-ს.

ზოგადად, საპენსიო სისტემის მიმართ საკუთარ ინფორმირებულობას რესპონდენტები საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ: ინფორმირებულად თავს მიიჩნევს მხოლოდ 14%-მდე (მათ შორის „ძალზე ინფორმირებულად“ მხოლოდ 1.3%). პრაქტიკულად ყოველი მეორე გამოკითხული (49.5%) თავს ძალზე ან უფრო არაინფორმირებულად მიიჩნევს.

დიაგრამა 1



A2. დამოკიდებულება მოქმედი საპენსიო სისტემის მიმართ

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა დიდ უმრავლესობას მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს მოქმედი საპენსიო სისტემის ამა თუ იმ მახასიათებლის მიმართ.

კერძოდ, გამოკითხულთა 86%-მდე თვლის, რომ საქართველოში დღესდღეობით არსებული საბაზო პენსიის ოდენობა (რომელიც შეადგენს 180 ლარს) საერთოდ არ არის საკმარისი პენსიონერის მინიმალური საარსებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. არც ერთი მხარდამჭერი არ აღმოაჩნდა პასუხის ვარიანტს „სავსებით საკმარისია“.

დიაგრამა 2



პრაქტიკულად იდენტურია რესპონდენტთა დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად საკმარისია არსებული პენსიების ოდენობა სხვადასხვა კატეგორიის შშმ პირებისთვის. ამ შემთხვევაში, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა რეზისტენტულია პენსიის მოცულობის მიმართ; არც ერთი რესპონდენტი არ აღმოჩნდა ისეთი, ვინც გაიზიარებდა პოზიციას „სავსებით საკმარისია“, ხოლო იმ გამოკითხულთა წილი, ვინც ფიქრობს, რომ „უფრო საკმარია“ 1%-საც კი ვერ აღწევს.

დიაგრამა 3



რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (75%-მდე) არც საპენსიო ასაკის დღეისათვის დადგენილ ზღვრებს ეთანხმება (ქალებისთვის 60 წელი, ხოლო მამაკაცებისთვის - 65 წელი).

რესპონდენტებმა გამოხატეს საკუთარი დამოკიდებულება საბაზისო პენსიის ზოგიერთი თავისებურების, აგრეთვე, საპენსიო ასაკის ზღვრების მიმართ ქალებისა და მამაკაცების შემთხვევაში.

შეკითხვაზე: ***უნდა იყოს თუ არა საბაზისო პენსიის თანხის ოდენობა საერთო ყველა მოქალაქისთვის?*** - რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა - 67%-მდე უარყოფითად პასუხობს, 30.1% კი ამ პრინციპს იზიარებს.

დიაგრამა 4



დიაგრამა 5



რაც შეეხება პენსიის სასურველ ასაკობრივ ზღვრებს, ყველაზე მეტი მხარდამჭერი აღმოაჩნდა არსებული ასაკობრივი ზღვრების შემცირებას 5-5 წლით, კერძოდ, ქალებისთვის სასურველ ასაკობრივ ზღვრად რესპონდენტთა 70%-მდე ასახელებს 55 წელს,

ხოლო მამაკაცებისთვის სასურველ ასაკობრივ ზღვრად 72.2% ასახელებს 60 წელს. რესპონდენტთა დაახლოებით მეხუთედი კიდევ უფრო ამცირებს საპენსიო ასაკის ზღვრებს და მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ქალებისთვის ეს ზღვარი განისაზღვროს 50 წლის მიჯნაზე, ხოლო მამაკაცებისთვის - 55 წლის მიჯნაზე[1].

მთლიანი შერჩევის რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (72.3%) ეთანხმება იმას, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულები, მუშაობის პარალელურად , იღებდნენ საბაზისო პენსიასაც. ამას გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედი ეწინააღმდეგება.

გამოკითხულთა უმრავლესობას მნიშვნელოვნად მიაჩნია ის, რომ: ა) საბაზისო პენსია იცვლებოდეს ინფლაციის (რომელიც ბოლო წლებში 2-4%-ია) პროპორციულად და ბ) საბაზისო პენსია იცვლებოდეს საშუალო ხელფასის ზრდის (რომელიც ბოლო წლებში (6-10%-ია) პროპორციულად.

დიაგრამა 6



შენიშვნა: მნიშვნელოვნების 5 ქულიან სკალაზე, მაღალი მნიშვნელოვნების მაჩვენებელია ქულები 4 და 5.

1. სასურველი ასაკობრივი ზღვრები განსაზღვრეს იმ რესპონდენტებმა, ვინც არ იზიარებს დღეს მოქმედ ასაკობრივ ზღვრებს (ასეთია 746 რესპონდენტი).

საბაზისო პენსიის მოდიფიცირების ზემოაღნიშნული ორი პრინციპის მნიშვნელოვნება იკვეთება ცენტრალური ტენდენციების საზომებითაც (Mean, Median, Mode): საშუალო მაჩვენებელი (Mean), ორივე შემთხვევაში დაახლოებით 4.2 ქულაა (5 ქულიან სკალაზე), მოდა ტოლია 5–ის, ასევე მედიანაც (ანუ რესპონდენტთა ნახევარი აღნიშნულ პრინციპებს 5 ქულას ანიჭებს).

ცხრილი 3

	N		Mean	Median	Mode	Std. Deviation	Minimum	Maximum
	Valid	Missing						
საბაზისო პენსია უნდა იცვლებოდეს ინფლაციის პროპორციულად	941	58	4.19	5.00	5	1.163	1	5
საბაზისო პენსია უნდა იცვლებოდეს საშუალო ხელფასის ზრდის პროპორციულად	915	85	4.16	5.00	5	1.137	1	5

B. საპენსიო სისტემის რეფორმა

B1. საპენსიო სისტემის რეფორმის პროექტების შესახებ ინფორმირებულობა

გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტს არ აქვს ინფორმაცია საპენსიო სისტემის რეფორმის ალტერნატიული პროექტების შესახებ, რომლებიც შეიმუშავა ეკონომიკის სამინისტრომ და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებამ. მეტ-ნაკლებად ინფორმირებულად თავს მიიჩნევს საშუალოდ 13%, ხოლო მცირედ ინფორმირებულად - დაახლოებით 30%. (აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტთა წილი, ვინც სრულად ინფორმირებულად მიიჩნევს თავს პროფკავშირების პროექტის შესახებ რამდენადმე აღემატება ანალოგიური კატეგორიის რესპონდენტებს ეკონომიკის სამინისტროს პროექტთან მიმართებით).

დიაგრამა 7



რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონეს საპენსიო სისტემის რეფორმის ალტერნატიული პროექტების შესახებ კარგად აჩვენებს ცენტრალური ტენდენციის საზომები (Mean, Median, Mode):

ყველაზე გავრცელებული პასუხია (Mode) „არაინფორმირებული“, ხოლო რესპონდენტთა განაწილების შუა წერტილია (Median) ქულა 4, რომელიც „არაინფორმირებულის“ კოდია.

ცხრილი 4

	N		Mean	Median	Mode	Std. Deviation	Minimum	Maximum
	Valid	Missing						
1. რამდენად ინფორმირებული ხართ ეკონომიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი საპენსიო რეფორმის პროექტის შესახებ?	994	5	3.34	4.00	4	.798	1	4
2. რამდენად ინფორმირებული ხართ საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების მიერ შემუშავებული ახალი საპენსიო რეფორმის პროექტის შესახებ?	995	4	3.47	4.00	4	.725	1	4

B2. არსებული საპენსიო სისტემის ცვლილება

რესპონდენტთა უმრავლესობა (54.2%) თვლის, რომ დღესდღეობით არსებული საპენსიო სისტემა ძირეულ ცვლილებებს საჭიროებს, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი (41.1%) საპენსიო სისტემის „გარკვეულ ცვლილებებს" უჭერს მხარს. არსებული საპენსიო სისტემის შენარჩუნებას პრაქტიკულად არ აქვს მხარდაჭერა (1%).

დიაგრამა 8



რესპონდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (95.3%), ვინც თვლის, რომ არსებული საპენსიო რეფორმა ცვლილებებს (ძირეულს და გარკვეულს) საჭიროებს, დაასახელა ის მიზეზ(ებ)ი, თუ რითაა ცვლილებების აუცილებლობა ნაკარნახევი:

- წამყვანი მიზეზი აღმოჩნდა ის, რომ, რესპონდენტთა აზრით, არსებული საპენსიო სისტემა მოქალაქეთა მინიმალურ საარსებო მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს (30.6%);
- თითქმის თანაბარი წილით (დაახლოებით 20%) დასახელდა შემდეგი მიზეზები: ა) საჭიროა შეიცვალოს საპენსიო თანხის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი: ბ) საჭიროა შეიცვალოს საპენსიო ასაკის განსაზღვრის პრინციპი; გ) საპენსიო თანხა არ არის სწორად გადანაწილებული პენსიის მიმღებ კატეგორიებზე.

დიაგრამა 9



B3. დაგროვებითი საპენსიო ფონდის მიმართ დამოკიდებულება

რესპონდენტებმა დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს იმ ძირითადი რეფორმისტული იდეის მიმართ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ საბაზისო პენსიასთან ერთად, უნდა არსებობდეს დაგროვებითი საპენსიო ფონდი, რომელიც მოქალაქეებს მისცემს შესაძლებლობას, დააგროვონ თანხა საკუთარი თავის პენსიით უზრუნველყოფისთვის: ამ მოსაზრებას სრულიად ეთანხმება გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილი (38.4%), ხოლო უფრო ეთანხმება - გამოკითხულთა თითქმის მეოთხედი (23.7%). დაგროვებითი საპენსიო ფონდის არსებობას ეწინააღმდეგება გამოკითხულთა მეხუთედი (მათგან კატეგორიულად - 12.1%).

დიაგრამა 10



საინტერესოა. რომ დაგროვებითი საპენსიო ფონდის მიმართ დამოკიდებულება სტატისტიკურად სანდო კორელაციაში აღმოჩნდა რესპონდენტთა **ასაკთან** და **დასაქმების სტატუსთან**.

კერძოდ, რაც უფრო იზრდება რესპონდენტთა ასაკი, მით უფრო კლებულობს დაგროვებითი საპენსიო ფონდის მიმართ მხარდაჭერა: ყველაზე ლოიალურები 18-24 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები არიან, ხოლო ყველაზე რეზისტენტულები - 65 წლის და მეტი ასაკის რესპონდენტები.

ცხრილი 5

		ასაკი					
		18-24 წლის	**25-34 წლის**	**35-44 წლის**	**45-54 წლის**	**55-64 წლის**	**≥ 65**
საბაზისო პენსიასთან ერთად, უნდა არსებობდეს დაგროვებითი საპენსიო ფონდი?	სრულიად ვეთანხმები	52.4%	42.9%	41.7%	40.4%	30.6%	26.0%
	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	23.4%	24.3%	22.6%	24.2%	29.3%	19.3%
	კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები	11.3%	11.6%	17.3%	12.4%	14.0%	18.2%
	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	8.9%	9.5%	4.8%	7.3%	7.0%	9.4%
	სრულიად არ ვეთანხმები	2.4%	10.1%	12.5%	14.6%	14.6%	16.0%
	მიჭირს პასუხის გაცემა	1.6%	1.6%	1.2%	1.1%	4.5%	11.0%

აგრეთვე, კვლევა აჩვენებს, რომ საჯარო ან კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანები და უმუშევრები ყველაზე მეტად, ხოლო სამუშაო ძალის გარეთ მყოფი ადამიანები - ყველაზე ნაკლებად უჭერენ მხარს დაგროვებითი საპენსიო ფონდის არსებობას.[2]

ცხრილი 6

		დასაქმების სტატუსი				
		დასაქმებული საჯარო/კერძო სექტორში	ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას/ინდმეწარმე	არაფორმალურ სექტორში დასაქმებული	უმუშევარი	ადამიანები სამუშაო ძალის გარეთ
საბაზისო პენსიასთან ერთად, უნდა არსებობდეს დაგროვებითი საპენსიო ფონდი?	სრულიად ვეთანხმები	48.2%	37.1%	39.3%	45.5%	29.2%
	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	17.0%	15.7%	32.1%	21.2%	29.7%
	კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები	15.9%	12.9%	14.3%	11.6%	14.4%
	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	5.8%	12.9%	7.1%	6.9%	8.9%
	სრულიად არ ვეთანხმები	2.3%	12.9%	3.6%	12.2%	12.3%
	მიჭირს პასუხის გაცემა	.7%	8.6%	3.6%	2.6%	5.5%

ამ გამოკითხულთა უმრავლესობა, ვინც კატეგორიულად არ ეწინააღმდეგება დაგროვებითი საპენსიო ფონდის არსებობას (ასეთია 88%), პოზიტიურადაა განწყობილი იმის მიმართ, რომ დაგროვებითი საპენსიო ფონდის შენატანი იყოს მოქალაქეთა ხელფასის 2%-ის ოდენობის თანხა: ამ იდეას ეთანხმება 69%-მდე (აქედან 41% - სრულიად ეთანხმება). შენატანის განსაზღვრის ამ პრინციპს რესპონდენტთა დაახლოებით 11% ეწინააღმდეგება.

დიაგრამა 11



2. დაგროვებითი საპენსიო ფონდის მიმართ დამოკიდებულებაზე რესპონდენტთა ასაკის და დასაქმების სტატუსის გავლენის სტატისტიკურ სანდოობას აჩვენებს შემდეგი ჩანაწერი: ა) ასაკთან მიმართებით: $\chi2(20)= 34.587$, $p<0.05$; ბ) დასაქმების სტატუსთან მიმართებით: $\chi2(20)= 56.936$, $p<0.05$.

საინტერესოა, რომ ეს საკითხიც სტატისტიკურად სანდო კორელაციაში აღმოჩნდა რესპონდენტთა **ასაკთან:** 65 წლის და უფროსი ადამიანები შედარებით ნაკლები ენთუზიაზმით იღებენ დაგროვებითი საპენსიო ფონდის შენატანების განსზღვრის პრინციპს, სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (კორელაციის სანდოობაზე მიუთითებს შემდეგი ჩანაწერი: *χ2(25)= 57.294, p<0.05):*

ცხრილი 7

		ასაკი					
		18-24 წლის	**25-34 წლის**	**35-44 წლის**	**45-54 წლის**	**55-64 წლის**	**≥ 65**
რამდენად ეთანხმებით, რომ დაგროვებითი საპენსიო ფონდის შენატანი იყოს თქვენი ხელფასის 2%-ის ოდენობის თანხა?	სრულიად ვეთანხმები	54.5%	39.8%	43.0%	41.2%	40.2%	30.1%
	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არა	18.2%	29.2%	28.9%	30.7%	31.8%	27.5%
	კიდეც ვეთანხმები და არც ვეთანხმები	17.4%	17.0%	18.1%	13.7%	15.2%	17.6%
	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე კი	7.4%	8.2%	4.7%	9.8%	6.1%	9.8%
	სრულიად არ ვეთანხმები	.8%	2.9%	4.0%	3.9%	2.3%	3.3%
	მიჭირს პასუხის გაცემა	1.7%	2.9%	1.3%	.7%	4.5%	11.8%

შემდეგი შეკითხვა, რომელსაც, იმ რესპონდენტებმა უპასუხეს, ვინც კატეგორიულად არ შეეწინააღმდეგა დაგროვებითი საპენსიო ფონდის არსებობას (საერთო შერჩევის 88%), ეხება იმას, სავალდებულო უნდა იყოს თუ ნებაყოფლობითი დაგროვებითი პენსიის სქემაში მონაწილეობა.

გამოკითხულთა უმრავლესობა (64.4%) ემხრობა იმას, რომ დაგროვებითი პენსიის სქემაში მონაწილეობა იყოს ნებაყოფლობითი და ადამიანებს ჰქონდეთ არჩევანი, თავად იზრუნონ თუ არა დამატებით საპენსიო უზრუნველყოფაზე; გამოკითხულთა დაახლოებით მეოთხედი დაგროვებითი პენსიის სქემაში სავალდებულო მონაწილეობაზე საუბრობს. კომპრომისულ ვარიანტს, რომელიც გულისხმობს იმას, რომ დაგროვებითი პენსიის სქემაში მონაწილეობა 40 წლამდე უნდა იყოს სავალდებულო, ხოლო 40 წლის ზემოთ - ნებაყოფლობითი - გამოკითხულთა მცირე ნაწილი (9.2%) უჭერს მხარს.

დიაგრამა 12



რესპონდენტებისგამოკვეთილიუმრავლესობის (71.1%) აზრით, არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებს (ანუ, მათ, ვისაც აქვს შემოსავალი, თუმცა არ იხდის გადასახადებს), უნდა მიეცეთ დაგრვებითი პენსიის სქემაში მონაწილეობის უფლება; ამას გამოკითხულთა მხოლოდ 17%–მდე ეწინააღმდეგება.

დიაგრამა 13



გამოკითხვა აჩვენებს, რომ რესპონდენტების მოტივაცია, პირადად გაიღონ შენატანი დაგროვებით საპენსიო ფონდში, მაღალია. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა იმას, რესპონდენტი დასაქმებულია (სხვადასხვა სტატუსით, თვითდასაქმებულის ჩათვლით), თუ – დაუსაქმებელი (უმუშევარი, ან სამუშაო ძალის გარეთ მყოფი). ორივე კატეგორიის რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი (40–45%–ის ფარგლებში) აცხადებს, რომ „აუცილებლად გაიღებდა“ თანხას საკუთარი ხელფასიდან, ხოლო დამატებით საშუალოდ 30%–ის მოტივაცია დადებითია („უფრო გავიღებდი, ვიდრე არა“). ამ თვალსაზრისით უარყოფითად განწყობილ რესპონდენტთა რაოდენობა 20–25%–ის ფარგლებში მერყეობს.

იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ არ არიან თანახმა საკუთარი ხელფასიდან/ანაზღაურებიდან გაიღონ თანხა დაგროვებითი საპენსიო ფონდისთვის (ასეთია, ჯამში 262 რესპონდენტი, ანუ 26.25%), ამის ძირითად მიზეზად დაასახელეს ის, რომ არ აქვთ იმედი, რომ ეს შენატანი მოქალაქეების პენსიაზე დაიხარჯება.

დიაგრამა 14.1



დიაგრამა 14.2



სხვა მიზეზებს შორის აღსანიშნავია შემდეგი: ა) პენსიით უზრუნველყოფა მხოლოდ სახელმწიფომ უნდა იკისროს, მოქალაქის მონაწილეობის გარეშე და ბ) უპირატესობა ენიჭება დანაზოგის პირადად დაგროვებას.

დაუსაქმებელ რესპონდენტებში (როგორც უმუშევრებში, ისე სამუშაო ძალის გარეთ მყოფებში) იკვეთება სტატისტიკურად სანდო კორელაცია: 65 წლის და მეტი ასაკის რესპონდენტებში დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობის მოტივაცია გაცილებით დაბალია, 35 წლამდე რესპონდენტებთან შედარებით.

ცხრილი 8
ეხება დაუსაქმებელ რესპონდენტებს: N=665

		ასაკი:					
		18-24 წლის	25-34 წლის	35-44 წლის	45-54 წლის	55-64 წლის	≥ 65 წლის
რომ იყოთ სტაბილური ანაზღაურებით, გაიღებდით თუ არა თანხას დაგროვებით საპენსიო ფონდში	აუცილებლად გავიღებდი	60.4%	52.5%	46.7%	40.4%	48.6%	33.5%
	უფრო გავიღებდი, ვიდრე არა	26.4%	27.7%	36.0%	37.2%	26.2%	32.3%
	უფრო არ გავიღებდი, ვიდრე კი	8.8%	5.0%	4.0%	3.2%	7.5%	5.7%
	არ გავიღებდი	3.3%	7.9%	12.0%	16.0%	13.1%	20.9%
	მიჭირს პასუხის გაცემა	1.1%	6.9%	1.3%	3.2%	4.7%	7.6%
სულ		100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%

დიაგრამა 15



B4. სოლიდარობის ფონდის მიმართ დამოკიდებულება

კვლევა აჩვენებს, თუ რამდენად ეთანხმებან რესპონდენტები ე.წ. „სოლიდარობის ფონდის“ არსებობას, რომელიც მოემსახურება შემდეგი სამი კატეგორიის მოქალაქეების დამატებით საპენსიო უზრუნველყოფას: დროებით (6 თვით) შრომისუუნაროები, დროებით (6 თვით) უმუშევრები ან დეკრეტულ შვებულებაში მყოფები[3].

გამოკითხვის მონაცემები ცხადყოფს, რომ რესპონდენტები პოზიტიურად არიან განწყობილები სოლიდარობის ფონდის არსებობის მიმართ: დაახლოებით 38% სრულიად ეთანხმება ამ ფონდის შექმნას, ხოლო დამატებით 28%–მდე აცხადებს, რომ „უფრო ეთანხმება, ვიდრე არა“. რეზისტენტულად განწყობილთა წილი ჯამში მხოლოდ 14.2%–ია.

საინტერესოა, რომ სოლიდარობის ფონდის მიმართ მხარდაჭერა არ კორელირებს არც რესპონდენტთა დასაქმების სტატუსთან და არც რესპონდენტთა ეკონომიკურ სტატუსთან (შემოსავლების მიხედვით). ეს ნიშნავს, რომ არც ერთი ეს მახასიათებელი არ ახდენს გავლენას სოლიდარობის ფონდის მიმართ დამოკიდებულებაზე.

3. გამოკითხვის პროცესში რესპონდენტებს დამატებით განემარტათ, რომ სოლიდარობის ფონდის შექმნაში მონაწილეობას მიიღებენ მაღალშემოსავლიან მოქალაქეები, რომელთაც აქვთ საშუალო ხელფასს (ამჟამად თვეში დაახლოებით 1000 ლარი) პლუს 40%-ზე მეტი შემოსავალი. ამ ნამატის 2% წავა სოლიდარობის ფონდში (მაგალითად, 2000 ლარიანი ხელფასის პირობებში 600 ლარის 2% წავა სოლიდარობის ფონდში).

დიაგრამა 16



B5. საპენსიო უზრუნველყოფის ალტერნატიული მექანიზმების მიმართ დამოკიდებულება

რესპონდენტებს გამოკითხვის პროცესში შესთავაზეს საპენსიო ფონდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ალტერნატიული მექანიზმები, რომლებიც რესპონდენტებს მიეწოდათ წყვილადი დებულებების სახით. მათ უნდა ამოერჩიათ ის დებულება, რომელსაც უფრო მეტად ეთანხმებოდნენ.

B5.1. საპენსიო ფონდის მართვა

გამოკითხვა აჩვენებს, რომ საპენსიო მართვის საკითხთან დაკავშირებით რესპონდენტთა აზრი გაიყო: ა) ერთი შედარებით უფრო დიდი ნაწილი (43%-მდე) ეთანხმება იმას, რომ საპენსიო ფონდი იმართებოდეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, თუმცა საერთაშორისო ექსპერტების მეთვალყურეობის ქვეშ; ბ) მეორე ნაწილი(39%-მდე) კი ეთანხმება მოსაზრებას, რომ საპენსიო ფონდის მართვის მეთვალყურეობას ახდენდნენ დამსაქმებლები დაპროფკავშირების წარმომადგენლები. განსხვავების მიუხედავად, ორივე ამ მოსაზრებას აერთიანებს ის, რომ საპენსიო ფონდის მართვა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ უნდა ხდებოდეს.

ცხრილი 9

	ვის მიერ უნდა იმართებოდეს საპენსიო ფონდის აქტივები?	(%)
1.	საპენსიო ფონდი და მისი აქტივები უნდა იმართებოდეს სახელმწიფო სტრუქტურების საჯარო მოხელეების მიერ, მენეჯმენტის მინიმალური დანახარჯებით, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს საერთაშორისო ექსპერტებისგან.	42.9
2.	საპენსიო ფონდი და მისი აქტივები უნდა იმართებოდეს სახელმწიფო სტრუქტურების საჯარო მოხელეების მიერ, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს დამსაქმებლებისა და დასაქმებულების (პროფკავშირების) წარმომადგენლებისგან.	38.6
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	18.5

ცხრილი 10

კორელაციური ანალიზი საინტერესო შედეგებს აჩვენებს:

1. თვითდასაქმებული ადამიანების (სასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულები და ინდმეწარმეები) უმრავლესობა სახელმწიფო სტრუქტურების მიერ მართული საპენსიო ფონდის მეთვალყურეობას საერთაშორისო ექსპერტებს ანდობს; არაფორმალურ სექტორში დასაქმებულების უმრავლესობის აზრით, სამეთვალყურეო საბჭოში დამსაქმებლები და პროფკავშირების წარმომადგენლები უნდა შედიოდნენ.

χ2(8)= 22.257, p<0.05	**დასაქმების სტატუსი:**				
	დასაქმებული საჯარო/ კერძო სექტორში	ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას/ ინდმეწარმე	არაფორმალურ სექტორში დასაქმებული	უმუშევარი	ადამიანები სამუშაო ძალის გარეთ
1. საპენსიო ფონდი უნდა იმართებოდეს სახელმწიფოს მიერ, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო შედგებოდეს საერთაშორისო ექსპერტებისგან	41.7%	52.9%	34.5%	47.3%	40.3%
2. საპენსიო ფონდი უნდა იმართებოდეს სახელმწიფოს მიერ, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო შედგებოდეს დამსაქმებლებისა და პროფკავშირების წარმომადგენლებისგან	39.9%	20.0%	55.2%	41.0%	38.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	18.5%	27.1%	10.3%	11.7%	20.8%

2. მაღალშემოსავლიანი რესპონდენტები (ანუ, რომელთა შემოსავალი საშუალო ხელფასს, ე.ი. თვეში 950 ლარს, აღემატება) საპენსიო მართვაზე მეთვალყურეობას უფრო მეტად ანდობენ დამსაქმებლებს და პროფკავშირებს წარმომადგენლებს და არა საერთაშორისო ექსპერტებს.

χ2(10)= 26.6, p<0.05	**საშუალო თვიური შემოსავალი**					
	180 ლარამდე	180-950 ლარი	950 ლარზე მეტი	უარი პასუხზე	არ მაქვს შემოსავალი	მიჭირს პ/გ
1. საპენსიო ფონდი უნდა იმართებოდეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო შედგებოდეს საერთაშორისო ექსპერტებისგან	41.7%	39.1%	32.8%	63.2%	48.4%	53.3%
2. საპენსიო ფონდი უნდა იმართებოდეს სახელმწიფო სტრუქტურების მიერ, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო უნდა შედგებოდეს დამსაქმებლებისა და პროფკავშირების წარმომადგენლებისგან	43.3%	40.3%	41.0%	26.3%	37.8%	13.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	15.0%	20.7%	26.2%	10.5%	13.8%	33.3%

B5.2. სოლიდარული საპენსიო ფონდი

B5.2.1. რესპონდენტთა უმრავლესობა (58%–მდე) მომხრეა, რომ განსაზღვრული კატეგორიის ადამიანებს – დროებით შრომისუუნაროებს, დროებით უმუშევრებს ან დეკრეტულ შვებულებაში მყოფებს – აღნიშნულ (დაუსაქმებლობის) პერიოდებში არ შეუჩერდეთ შენატანები საპენსიო ფონდში და საპენსიო ასაკის მიღწევისას მიიღონ როგორც ბიუჯეტიდან დაფინანსებული საბაზისო პენსია, ისე სრული დაგროვებითი პენსია. ამ ტიპის სოლიდარულობას ეწინააღმდეება 28.3%.

B5.2.2. რესპონდენტები კიდევ უფრო მეტ სოლიდარულობას ამჟღავნებენ იმ მოქალაქეების მიმართ, ვინც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე მეტხანს იცხოვრებს და ამოეწურება საკუთარი შენატანებით დაგროვილი პენსია; გამკითხულთა 80%–მდე ემხრობა იმას, რომ ასეთმა ადამიანებმა, სიცოცხლის ბოლომდე, დაგროვებითი პენსიის იმავე რაოდენობა მიიღონ საერთო საპენსიო ფონდიდან. ამგვარი კომპრომისის მოწინააღმდეგეა მხოლოდ 16%–მდე.

ცხრილი 11

	როდის უნდა შეუწყდეს მოქალაქეს შენატანები საპენსიო ფონდში?	(%)
1.	იმ შეთხვევაში, თუ მოქალაქე არის ან დროებით (6 თვით) შრომისუუნარო, ან დროებით (6 თვით) უმუშევარი ან დეკრეტულ შვებულებაში მყოფი, მას ამ პერიოდში შეუჩერდება შენატანები საპენსიო ფონდში და საპენსიო ასაკის მიღწევისას ბიუჯეტიდან დაფინანსებულ საბაზისო პენსიასთან ერთად მიიღებს შემცირებულ დაგროვებით პენსიას.	28.3
2.	იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეა არის ან დროებით (6 თვით) შრომისუუნარო, ან დროებით (6 თვით) უმუშევარი ან დეკრეტულ შვებულებაში მყოფი, მას ამ პერიოდში არ შეუჩერდება შენატანები საპენსიო ფონდში და საპენსიო ასაკის მიღწევისას მიიღებს როგორც ბიუჯეტიდან დაფინანსებულ საბაზისო პენსიას, ისე სრულ დაგროვებით პენსიას.	57.9
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	13.8

ცხრილი 12

	უნდა მიიღონ თუ არა ხანდაზმულებმა, რომლებმაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას გადააბიჯეს, იმავე ოდენობის დაგროვებითი პენსია?	(%)
1.	თუ მოქალაქემ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე (ქალებისთვის 75 წელი, ხოლო მამაკაცებისთვის 71 წელი) მეტხანს იცხოვრა და, შესაბამისად, ამოეწურა საკუთარი შენატანებით დაგროვილი პენსია, ის დაგროვებითი პენსიის იმავე ოდენობას მიღებს საერთო საპენსიო ფონდიდან	79.8
2.	თუ მოქალაქემ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე (ქალებისთვის 75 წელი, ხოლო მამაკაცებისთვის 71 წელი) მეტხანს იცხოვრა და, შესაბამისად, ამოეწურა საკუთარი შენატანებით დაგროვილი პენსია, მას უწყდება დაგროვებითი პენსია და რჩება მხოლოდ საბაზისო პენსიის ამარა	15.8
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	4.4

ცხრილი 13

საინტერესოა, რომ ხანდაზმულებისთვის (რომლებმაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე მეტხანს იცხოვრეს) საერთო საპენსიო ფონდიდან იმავე ოდენობს დაგროვებითი პენსიის მიცემას ყველასთან შედარებით მეტი მოწინააღმდეგეები აღმოაჩნდნენ **მაღალშემოსავლიან** რესპონდენტთა ჯგუფში (35%) და **საჯარო/კერძო სექტორში დაქირავებით** დასაქმებულთა ჯგუფში (29.3%) (აღნიშნული კავშირები სტატისტიკურად სანდოა).

χ2(10)= 34.906, p<0.05	**საშუალო თვიური შემოსავალი**					
	180 ლარამდე	180-950 ლარი	950 ლარზე მეტი	უარი პასუხზე	არ მაქვს შემოსავალი	მიჭირს პ/გ
1. თუ მოქალაქემ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე მეტხანს იცხოვრა და, შესაბამისად, ამოეწურა საკუთარი შენატანებით დაგროვილი პენსია, ის დაგროვებითი პენსიის იმავე ოდენობას მიღებს საერთო საპენსიო ფონდიდან	81.7%	61.3%	53.3%	50.0%	73.7%	60.0%
2. თუ მოქალაქემ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე მეტხანს იცხოვრა და, შესაბამისად, ამოეწურა საკუთარი შენატანებით დაგროვილი პენსია, მას უწყდება დაგროვებითი პენსია და რჩება მხოლოდ საბაზისო პენსიის ამარა	11.7%	25.6%	35.0%	22.2%	17.5%	16.7%
მიჭირს პასუხის გაცემა	6.7%	13.1%	11.7%	27.8%	8.8%	23.3%

χ2(8)= 21.8, p<0.05	**დასაქმების სტატუსი:**				
	დაქირავებით დასაქმებული საჯარო/ კერძო სექტორში	ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას/ ინდმეწარმე	არაფორმალურ სექტორში დასაქმებული	უმუშევარი	ადამიანები სამუშაო ძალის გარეთ
1. თუ მოქალაქემ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე მეტხანს იცხოვრა და, შესაბამისად, ამოეწურა საკუთარი შენატანებით დაგროვილი პენსია, ის დაგროვებითი პენსიის იმავე ოდენობას მიღებს საერთო საპენსიო ფონდიდან	56.9%	62.9%	78.6%	75.0%	67.7%
2. თუ მოქალაქემ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობაზე მეტხანს იცხოვრა და, შესაბამისად, ამოეწურა საკუთარი შენატანებით დაგროვილი პენსია, მას უწყდება დაგროვებითი პენსია და რჩება მხოლოდ საბაზისო პენსიის ამარა	29.3%	21.4%	17.9%	16.5%	20.6%
მიჭირს პასუხის გაცემა	13.8%	15.7%	3.6%	8.5%	11.7%

B5.3. დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა და დაგროვილი პენსიით სარგებლობა

B5.3.1. რესპონდენთა გამოკვეთილი უმრავ-ლესობა (72%-მდე) მიიჩნევს, რომ დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობა შეუზღუდავი უნდა იყოს და ამის უფლება მიეცეს ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავად ასაკისა. ყოველი მეხუთე რესპონდენტი (201%) საწინააღმდეგო აზრზეა და თვლის, რომ დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობის უფლება არ უნდა ჰქონდეთ მოქალაქეებს, რომელთაცთაც საპენსიო ასაკამდე (60 წელი ქალებისთვის და 65 წელი მამაკაცებისთვის) დარჩათ 10 წელი.

ცხრილი 13

	ვის არ ექნება უფლება, მონაწილეობა მიიღოს დაგროვებით საპენსიო სქემაში?	(%)
1.	დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედების შემთხვევაში, მასში მონაწილეობის უფლება არ ექნებათ მოქალაქეებს, რომლეთაც საპენსიო ასაკამდე დარჩათ 10 წელი	20.1
2.	დაგროვებითი საპენსიო სისტემის ამოქმედების შემთხვევაში, მასში მონაწილეობის შესაძლებლობა ექნება ნებისმიერ მოქალაქეს, მიუხედავათ ასაკისა	71.8
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	8.1

B5.3.2. რესპონდენტების აზრი, არსებითად, გაიყო იმასთან დაკავშირებით, უნდა შეეძლოს თუ არა მოქალაქეს, რომ საპენსიო ასაკის შესრულებამდე ისარგებლოს დაგროვილი პენსიით: ერთი, შედარებით უფრო დიდი ნაწილი (52%-მდე) თვლის, რომ მოქალაქეს უნდა შეეძლოს, თავისი ნებით, საპენსიო ასაკამდე 5 წლით ადრე პენსიის მიღება დაგროვებითი პენსიის სქემიდან; მეორე ნაწილის (40.1%) აზრით კი, მოქალაქეს მხოლოდ მაშინ უნდა შეეძლოს დაგროვებითი პენსიის ვადაზე ადრე მიღება, თუ ის დაკარგავს შრომისუნარიანობას.

ცხრილი 14

	უნდა შეეძლოს თუ არა მოქალაქეს, საპენსიო ასაკამდე ისარგებლოს დაგროვილი პენსიით?	(%)
1.	მოქალაქეს უნდა შეეძლოს თავისი ნებით საპენსიო ასაკამდე 5 წლით ადრე პენსიის მიღება დაგროვებითი პენსიის სქემიდან.	51.8
2.	მოქალაქეს არ უნდა ჰქონდეს უფლება მიიღოს დაგროვებითი პენსია, თუ ის არ დაკარგავს შრომისუნარიანობას.	40.1
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	8.1

საინტერესოა, რომ საპენსიო ასაკამდე დაგროვილი პენსიით სარგებლობის საკითხი სტატისტიკურად სანდო კორეალციაში აღმოჩნდა რესპონდენტთა ასაკთან: კერძოდ, 18-24 ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების გამოკვეთილი უმრავლესობა (60%-მდე) ეწინააღმდეგება საპენსიო ასაკამდა დაგროვებითი პენსიის მიღებას, გარდა შრომისუნარიანობის დაკარგვის შემთხვევისა (ეს კავშირი სტატისტიკურად სანდოა: $\chi2(10)= 37.958, p<0.05$

B5.3.3. პრაქტიკულად ყოველი მეორე რესპონდენტი (51.5%) ემხრობა იმას, რომ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ნებაყოფლობით შეაქვთ დამატებითი თანხა საპენსიო ფონდში (ხელფასის სავალდებულო 2%-ის გარდა), უნდა შეეძლოთ მათ მიერ დაგროვილი თანხის გამოტანა ნებისმიერ დროს, ნებისმიერი რაოდენობით, თანხის ამოწურვამდე. მეორე მხრიც, რესპონდენტთა თითქმის მესამედი იზიარებს იმას, რომ მხოლოდ იმ მოქალაქეებს უნდა მიეცეთ დამატებითი თანხის გამოტანის უფლება (ერთჯერადად ან გრაფიკით). ვინც მუდმივად ქვეყნის დატოვებას გადაწყვეტს.

ცხრილი 15

	უნდა შეეძლოს თუ არა მოქალაქეს, ისარგებლოს დაგროვილი პენსიის ნამატით?	(%)
1.	იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ნებაყოფლობით შეაქვთ დამატებითი თანხა საპენსიო ფონდში (ანუ, ხელფასის სავალდებულო 2%-ის გარდა), უნდა შეეძლოთ მათ მიერ დაგროვილი თანხის გამოტანა ნებისმიერ დროს, ნებისმიერი რაოდენობით, თანხის ამოწურვამდე.	51.7
2.	მხოლოდ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ქვეყნის დატოვებას მუდმივად გადაწყვეტენ, ექნებათ უფლება, თანხის გამოტანა მოითხოვონ ერთჯერადად ან გრაფიკით.	32.1
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	16.2

B5.4. დაგროვილი თანხის (პენსიის) გადაცემა

გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (80%-მდე) მომხრეა იმის, რომ დაგროვილი თანხის ამოწურვამდე პირის გარდაცვალების შემთხვევაში, საპენსიო ფონდში დაგროვილი თანხა სრულად უნდა გადაეცეს პირის მემკვიდრეს/მემკვიდრეებს; მხოლოდ რესპონდენტთა 16%-მდეა ისეთი, ვინც ემხრობა იმას, რომ პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დაგროვილი თანხის 10% გადაეცეს ოჯახს, ხოლო დანარჩენი თანხა უნდა დარჩეს საერთო საპენსიო ფონდში, რომელიც საპენსიო ასაკის იმ მოქალაქეებს მოხმარდება, რომლებიც იცოცხლებენ საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მეტხანს და ამოეწურებათ დაგროვილი პენსიის მარაგი.

ცხრილი 16

	როგორ უნდა მოხდეს დაგროვილი პენსიის განკარგვა პირის გარდაცვალების შემთხვევაში?	(%)
1.	საპენსიო ფონდში პირის მიერ დაგროვილი თანხის ამოწურვამდე გარდაცვალების შემთხვევაში, დაგროვილი თანხა სრულად უნდა გადაეცეს პირის მემკვიდრეს /მემკვიდრეებს	79.8
2.	საპენსიო ფონდში პირის მიერ დაგროვილი თანხის ამოწურვამდე გარდაცვალების შემთხვევაში, პირის მიერ დაგროვილი თანხის 10% უნდა გადაეცეს გარდაცვლილის ოჯახს, ხოლო დანარჩენი თანხა უნდა დარჩეს საერთო საპენსიო ფონდში, რომელიც საპენსიო ასაკის იმ მოქალაქეებს მოხმარდება, რომლებიც იცოცხლებენ საშუალო სიცოცხლის ხან-გრძლივობაზე მეტხანს და ამოეწურებათ დაგროვილი პენსიის მარაგი	15.8
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	4.4

ცხრილი 17

საინტერესოა, რომ ზემოაღნიშნული საკითხი სტატისტიკურად სანდო კორელაციაშია რესპონდენტთა ასაკთან: ასაკობრივი ცენზის ზრდასთან ერთად მატულობს იმ რესპონდენტების წილი, ვინც, პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დაგროვილი საპენსიო თანხის მისი ოჯახის წევრებისთვის გადაცემას ემხრობა. ყველა მეტი მოწინააღმდეგე ამ მოსაზრებას 18-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში ჰყავს.						
χ2(10)= 31.256, p<0.05	**ასაკი**					
	18-24 წლის	**25-34 წლის**	**35-44 წლის**	**45-54 წლის**	**55-64 წლის**	**≥ 65 წლის**
1. საპენსიო ფონდში პირის მიერ დაგროვილი თანხის ამოწურვამდე გარდაცვალების შემთხვევაში, დაგროვილი თანხა სრულად უნდა გადაეცეს პირის ოჯახის წევრებს	68.5%	77.2%	83.4%	81.0%	82.8%	83.0%
2. საპენსიო ფონდში პირის მიერ დაგროვილი თანხის ამოწურვამდე გარდაცვალების შემთხვევაში, პირის მიერ დაგროვილი თანხის 10% უნდა გადაეცეს გარდაცვლილის ოჯახს, ხოლო დანარჩენი თანხა უნდა დარჩეს საერთო საპენსიო ფონდში, რომელიც საპენსიო ასაკის იმ მოქალაქეებს მოხმარდება, რომლებიც იცოცხლებენ საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მეტხანს და ამოეწურებათ დაგროვილი პენსიის მარაგი	29.0%	19.0%	14.2%	12.8%	12.7%	9.9%
მიჭირს პასუხის გაცემა	2.4%	3.7%	2.4%	6.1%	4.5%	7.1%

B5.5. საპენსიო ფონდის შევსება

ცხრილი 18

	როგორ უნდა მოხდეს საპენსიო ფონდის შევსება?	(%)
1.	პირველი 5 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდი უნდა შეივსოს დამსაქმებლის და სახელმწიფოს მიერ გაკეთებული 2-2%-იანი შენატანით. დასაქმებულს, საპენსიო სისტემაში გაწევრიანებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში, არ ექნება შენატანის გაკეთების ვალდებულება.	27.3
2.	ახალი საპენსიო სისტემის ამოქმედებიდანვე უნდა დიწყოს საპენსიო ფონდში თანხების შეტანა სამივე მხარის მიერ: როგორც დასაქმებულმა, ისე სახელმწიფომ და დამსაქმებელმა	57.8
3.	მიჭირს პასუხის გაცემა	14.8

გამოკითხულთა უმრავლესობა (58%-მდე) ემხრობა იმას. რომ ახალი საპენსიო სისტემის ამოქმედებიდანვე დაიწყოს საპენსიო ფონდში თანხების შეტანა სამივე დაინტერესებულმა მხარემ: დასაქმებულმა, სახელმწიფომ და დამსაქმებელმა. გამოკითხულთა 27.3% კი ეთანხმება იმას, რომ პირველი 5 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდი შეივსოს დამსაქმებლის და სახელმწიფოს მიერ გაკეთებული 2-2%-იანი შენატანით და დასაქმებულს, საპენსიო სისტემაში გაწევრიანებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში, არ ჰქონდეს შენატანის გაკეთების ვალდებულება.

კორელაციური ანალიზი აჩვენებს, რომ საპენსიო ფონდის შევსების საკითხი სტატიკურად სანდო კავშირშია რესპონდენტთა დასაქმების სტატუსთან, ასაკთან და შემოსავალთან:

ცხრილი 19

1. რესპონდენტთა იმ ჯგუფში, ვისაც **არასტაბილური სამუშაო აქვს** (ასეთია თვითდასაქმებულები და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულები, უფრო მეტი მომხრე ჰყავს იდეას, რომ პირველი 5 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდი შეივსოს მხოლოდ დამსაქმებლის და სახელმწიფოს მიერ.					
χ2(8)= 37.99, p<0.05	**დასაქმების სტატუსი:**				
	დასაქმებული საჯარო/ კერძო სექტორში	**ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას/ ინდმეწარმე**	**არაფორმალურ სექტორში დასაქმებული**	**უმუშევარი**	**ადამიანები სამუშაო ძალის გარეთ**
1. პირველი 5 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდი უნდა შეივსოს დამსაქმებლის და სახელმწიფოს მიერ გაკეთებული 2-2%-იანი შენატანით. დასაქმებულს პირველი 5 წლის განმავლობაში, არ ექნება შენატანის გაკეთების ვალდებულება.	19.9%	34.3%	37.9%	25.0%	31.4%
2. ახალი საპენსიო სისტემის ამოქმედებიდანვე უნდა დიწყოს საპენსიო ფონდში თანხების შეტანა სამივე მხარის მიერ: როგორც დასაქმებულმა, ისე სახელმწიფომ და დამსაქმებელმა	66.3%	42.9%	55.2%	67.6%	50.8%
მიჭირს პასუხის გაცემა	13.8%	22.9%	6.9%	7.4%	17.8%

2. **დაბალშემოსავლიანი რესპონდენტები** (თვიური შემოსავალი 180 ლარამდე) ან ისინი, ვისაც **საშუალო ხელფასზე (თვეში 950 ლარი) უფრო დაბალი შემოსავალი აქვთ** და ვისაც **შემოსავალი საერთოდ არ აქვს,** უფრო მეტად ემხრობიან იმას, რომ პირველი 5 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდი შეივსოს მხოლოდ დამსაქმებლის და სახელმწიფოს (და არა დასაქმებულის) მიერ.

$\chi^2(10)= 25.678, p<0.05$	საშუალო თვიური შემოსავალი					
	180 ლარამდე	180-950 ლარი	950 ლარზე მეტი	უარი პასუხზე	არ მაქვს შემოსავალი	მიჭირს პ/გ
1. პირველი 5 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდი უნდა შეივსოს დამსაქმებლის და სახელმწიფოს მიერ გაკეთებული 2-2%-იანი შენატანით. დასაქმებულს პირველი 5 წლის განმავლობაში, არ ექნება შენატანის გაკეთების ვალდებულება.	35.0%	29.0%	16.7%		26.0%	41.4%
2. ახალი საპენსიო სისტემის ამოქმედებიდანვე უნდა დიწყოს საპენსიო ფონდში თანხების შეტანა სამივე მხარის მიერ: როგორც დასაქმებულმა, ისე სახელმწიფომ და დამსაქმებელმა	51.7%	55.0%	70.0%	63.2%	62.0%	41.4%
მიჭირს პასუხის გაცემა	13.3%	16.0%	13.3%	36.8%	12.0%	17.2%

3. **ახალგაზრდა ასაკის** რესპონდენტები უფრო მეტად იზიარებენ იმას, რომ პირველი 5 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდი შეივსოს მხოლოდ დამსაქმებლის და სახელმწიფოს (და არა დასაქმებულის) მიერ.

$\chi2(10) = 21.761, p<0.05$	ასაკი					
	18-24 წლის	18-24 წლის	18-24 წლის	18-24 წლის	18-24 წლის	18-24 წლის
1. პირველი 5 წლის განმავლობაში საპენსიო ფონდი უნდა შეივსოს დამსაქმებლის და სახელმწიფოს მიერ გაკეთებული 2-2%-იანი შენატანით. დასაქმებულს პირველი 5 წლის განმავლობაში, არ ექნება შენატანის გაკეთების ვალდებულება.	20.8%	24.7%	29.2%	26.3%	31.0%	30.8%
2. ახალი საპენსიო სისტემის ამოქმედებიდანვე უნდა დიწყოს საპენსიო ფონდში თანხების შეტანა სამივე მხარის მიერ: როგორც დასაქმებულმა, ისე სახელმწიფომ და დამსაქმებელმა	68.0%	63.7%	58.3%	56.4%	56.1%	47.3%
მიჭირს პასუხის გაცემა	11.2%	11.6%	12.5%	17.3%	12.9%	22.0%

B6. საპენსიო ფონდის პირობებში საპენსიო ასაკის ცვლილება

რესპონდენტებს გამოკითხვის პროცესში შესთვაზეს მოსაზრება, თუ რამდენად მიზანშეწონილია საპენსიო ასაკის გაზრდა, რაც სახელმწიფოს მისცემს შესაძლებლობას, რომ დაზოგილი საბიუჯეტო, ისე ვე როგორც მოქალაქეთა მიერ დაგროვილი თანხები მოხმარდეს ეკონომიკის ზრდას.

გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა გამოკვეთილი უმრავლესობა (72.1%) კატეგორიულად არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. 7%-საც ვერ აღწევს იმ გამოკითხულთა წილი, ვისთვისაც მისაღებია საპენსიო ასაკის გაზრდა აღნიშნული მიზნით.

დიაგრამა 17



მეორე მოსაზრება, რომელიც რესპონდენტებს შესაფასებლად მიეწოდათ, ეხებოდა იმას, უნდა მიეცეთ თუ არა პენსიაზე ვადაზე 5 წლით ადრე გასვლის უფლება მძიმე და საშიშპირობებიან პროფესიებზე დასაქმებულებს, იმ დათქმით, რომ ასეთ პირებს ვადაზე ადრე მიეცემათ როგორც დაგროვებული, ისე საბაზისო პენსია. ამ შემთხვევაში, გამოკითხულთა გამოკვეთილი უმრავლესობა (73.3%) ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და მოწყვლადი ჯგუფების სოციალური დაცვის ამ ერთგვარი მექანიზმის ამოქმედებას მხარს უჭერს.

დიაგრამა 18



ავტორის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია — სოციალური კლევისა და ანალიზის ინსტიტუტი — დაფუძნდა 2000 წელს. ინსტიტუტის ძირითადი მიმართულება არის სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევების წარმოება, სხვადასხვა საზოგადოებისათვის აქტუალური პრობლემების შესწავლა და სოციალური ანალიზი. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტში ჩართულნი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების სოციოლოგები, დიდი გამოცდილების მქონე სხვა პრაქტიკოსი სოციოლოგები, მარკეტოლოგები, სტატისტიკოსები, სხვადასხვა სფეროს ექსპერტები.

თერთმეტწლიანი მოღვაწეობის მანძილზე სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა დაიგროვა სოციოლოგიური და მარკეტინგული კვლევის დიდი გამოცდილება, შეიმუშავა საკუთარი კვლევის კულტურა, საქართველოს მასშტაბით განავითარა მაღალკვალიფიციური მკვლევარების, სუპერვაიზორებისა და ინტერვიუერების ქსელი.

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი ყოველწლიურად ანარმოებს მრავალპროფილიან სოციალურ კვლევებს. ჩვენი კვლევის არეალია მთელი საქართველო. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი სოციალურ და მარკეტინგულ სფეროში იყენებს სოციოლოგიისა და მარკეტინგის ყველა წამყვან მეთოდოლოგიას, რომლებიც სოციალურ კვლევათა ორ ძირითად ნაკადში მოიაზრება: რაოდენობრივი კვლევები და თვისებრივი კვლევები.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ფონდის პოზიციას.

Imprint

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი
ნინო რამიშვილის ქ. 4 / 0179, თბილისი | საქართველო
პასუხისმგებელი პირი:
ფელიქს ჰეტი | სამხრეთ კავკასიის
რეგიონული ოფისის დირექტორი
ტელ: +995 32 225 07 28
http://fes-caucasus.org/

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:
stiftung@fesgeo.ge

დაუშვებელია ფონდის მიერ გამოცემული მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

Friedrich-Ebert-Stiftung | Tbilisi Office
N. Ramishvili str. 4 | 0179, Tbilisi | Georgia
Responsible:
Felix Hett | Director, FES Regional Office South Caucasus
Tel.: +995 32 225 07 28
http://fes-caucasus.org/

To order publications:
stiftung@fesgeo.ge

Commercial use of all media published by the Friedrich-Ebert-Stiftung (FES) is not permitted without the written consent of the FES.